

საქართველოს კაპიტალის ბაზრის პერსექტივები და მის განვითარებაზე
მოქმედი სახელმწიფო რეფორმები

მარიამ როსტიაშვილი

თამარ როსტიაშვილი

სანდრო მესხიშვილი

ჯგუფი #1

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დანელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების

ფაკულტეტის დეკანს ბ-ნ დიმიტრი ჯაფარიძეს

ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების

ფაკულტეტის მაგისტრანტების

მარიამ როსტიაშვილის, თამარ როსტიაშვილისა და სანდრო მესხიშვილის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ როსტიაშვილი

თამარ როსტიაშვილი

სანდრო მესხიშვილი

03.07.2020

აბსტრაქტი

მოგეხსენებათ, საქართველოს კაპიტალის ბაზარი დღეს მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და ღიაა რეფორმებისათვის. ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი იმისა, რომ ისეთი პერსპექტივები, როგორიცაა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების როლის ზრდა, საინვესტიციო ფონდების განვითარება, კორპორატიული ობლიგაციების ბაზრის ზრდა და ა.შ. რეალობად აქციოს სწორი და დროული რეფორმების მეშვეობით. ამისათვის ქვეყანამ ბოლო წლებში არაერთი ნაბიჯი გადადგა და მიიღო ისეთი სამი საკანონმდებლო რეფორმა, როგორიცაა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ესტონური მოდელი და დაგროვებითი საპენსიო სქემა. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, აღნიშნულ სამ ყველაზე აქტუალურ რეფორმაზე გავამახვილოთ ყურადღება და დავასაბუთოთ ახდენენ თუ არა ისინი გავლენას ქართული კაპიტალის ბაზარზე და თუ ახდენენ, რა შედეგები მოიტანეს კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის.

კვლევაში სხვადასხვა სტატისტიკური და ფინანსური მონაცემების საფუძველზე, როგორიცაა რეგრესული მოდელი, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის კოეფიციენტები და სხვა, შეგვიძლია დავადგინოთ, რა გავლენა მოახდინეს და რა შეცვალეს მოცემულმა რეფორმებმა 2017 წლის შემდგომ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არ არსებობს მსგავსი ტიპის კომპლექსური კვლევა და ჩვენ პირველები შევეცდებით, დავადგინოთ, არსებობს თუ არა პირდაპირპროპორციული კავშირი ამ ორ ცვლადს შორის. ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის გამზადებული ინფორმაცია, ამიტომ კვლევისთვის საჭირო ყველა მონაცემის მოძიება, დამუშავება და გაანალიზება სრულიად ჩვენ მიერ მოხდება. შედარებისათვის გამოვიყენებთ ისეთი უცხოური, განვითარებადი ქვეყნების მაგალითებს, რომელთაც ჩვენზე გაცილებით ადრე გაატარეს აღნიშნული რეფორმები. ეს საშუალებას მოგვცემს შევადაროთ, როგორ წარიმართა სიტუაცია მათთან და როგორ მიდინარეობს ჩვენთან.

მიღებული შედეგების საფუძველზე გავაკეთებთ დასკვნებს, მოახდინა თუ არა აღნიშნულმა რეფორმებმა გავლენა ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარებაზე. ჩვენ მიერ მიღებული დასკვნებისა და უცხოური მაგალითების ანალიზის შედეგების საფუძველზე გავცემთ რეკომენდაციებს, რა შეცდომები დავუშვით და რა შეცდომები არ უნდა დავუშვათ, რათა რეფორმები წარმატებული აღმოჩნდეს. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი გამოსადეგი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

Abstract

It is a well-known fact that nowadays Georgian capital market is facing a number of challenges. However, it is also noteworthy that Georgia is an emerging market and open to certain changes and legal reforms. The potential prospects for the country in that regard include among others increasing the role of international financial institutions, the development of investment funds, and the growth of the corporate bond market, through well-thought-out and timely reforms. With that purpose, the country has taken a number of steps in recent years and adopted three legislative reforms, such as “Law of Georgia on accounting, reporting and audit”, the “Estonian Model”, and the “Accumulative Pension Scheme”. The aim of this master's thesis is to focus on these three most pressing reforms and analyze whether they have an impact on the Georgian capital market and whether they have imposed any implications onto the development of the capital market in Georgia.

Based on various statistical and financial data, such as the regression model, the profitability and liquidity ratios, etc., this study determines the real impact the above legislation had and the consequences thereof, starting from 2017.

It should also be noted that there is no complex study of the above issues carried out in Georgia, and this thesis will be the first to attempt determining whether there is a direct proportional relationship between these two variables. No ready-to-consult information is available for us, so all the data needed for the study will be retrieved, processed, and analyzed by us. For the purposes of comparison, we will use the examples of foreign emerging markets that have carried out these reforms at a much earlier stage than us. This will allow us to compare how the situation changes with them and how it relates to us.

Based on the results obtained, we will draw conclusions whether these reforms have affected the development of the Georgian capital market. According to our findings and analysis of foreign examples, we will make recommendations on what mistakes we have made and what are the potential mistakes we should be aware of in order for the reforms to be successful. We think our work will be useful for all interested parties.